

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელი

დამტკიცებულია სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის

დირექტორის N04-31 ბრძანებით 15.03.2021



სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

აღმზრდელი

მისამართი: მცხეთის რ-ნი, სოფ. წინამძღვრიანთკარი

საკონტაქტო ინფორმაცია: 577215090; www.tmk.edu.ge tmkcollege@tmk.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: ნატალია დუღუზაური

მცხეთა

2021

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება -აღმზრდელი
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: 02117-3.
3. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:
აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
5. დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
6. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.
7. სტრუქტურა და მოდულები
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში მოიცავს 116 კრედიტს, საიდანაც ზოგად მოდულთა კრედიტების ჯამური რაოდენობაა 11 კრედიტი (3 მოდული), ხოლო პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი (24 მოდული).

აღმზრდელი		
ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
2.	მეწარმეობა 3	3
3.	უცხოური ენა/ ინგლისური ენა	5

ჯამი		11	
სავალდებულო პროფესიული მოდულები			
№	მოდულის დასახელება	წინაპირობა	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა -სკოლამდელი აღზრდა და განათლება	სრული ზოგადი განათლება	2
2.	პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება	სრული ზოგადი განათლება	12
3.	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში	სრული ზოგადი განათლება	5
4.	პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	სრული ზოგადი განათლება	3
5.	ბავშვის განვითარების თავისებურებები	სრული ზოგადი განათლება	4
6.	ადრეული განათლების კურიკულუმები:	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები 	5
7.	დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები 	6
8.	დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	3

9.	ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	<ul style="list-style-type: none"> • სრული ზოგადი განათლება 	3
10.	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	<ul style="list-style-type: none"> • სრული ზოგადი განათლება 	6
11.	თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები 	2
12.	საგანმანათლებლო გარემო	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში 	8
13.	ფიზიკური და სენსორული განვითარების ხელშეწყობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • საგანმანათლებლო გარემო <ul style="list-style-type: none"> • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	2
14.	ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • საგანმანათლებლო გარემო 	9
15.	კომუნიკაცია, ენა, მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<ul style="list-style-type: none"> • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია • საგანმანათლებლო გარემო • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში 	4

16.	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	<ul style="list-style-type: none"> • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია • საგანმანათლებლო გარემო • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში 	5
17.	წიგნიერება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	3
18.	სახვითი და ვიზუალური ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ადრეული განათლების კურიკულუმები • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	3
19.	პერფორმანსული ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	3
20.	მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	4
21.	კვლევა და აღმოჩენა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში 	5

		<ul style="list-style-type: none"> • ადრეული განათლების კურიკულუმები • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში ○ საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	
22.	კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	3
23.	ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	2
24.	მუსიკა და მოძრაობა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	3
კრედიტების ჯამი			105

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ პირს შეუძლია: ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელი პროცესის დაგეგმვა და მართვა; ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება; წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელი გარემოს შექმნა.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა შეიმუშავა აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

1. კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე;
2. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
 - ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
 - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
 - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
3. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში, ხოლო დამატებითი შეფასების განხორციელების პირობები განისაზღვრება დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა სრულად უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები:

2017 წლის 12 დეკემბერს №192/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - აღმზრდელი

14 .არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

15. პროგრამის განხორციელების ადგილი:

პროგრამა ხორციელდება

- მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში (ძირითდი სასწავლო კორპუსი)
- მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ N73

16. პარტნიორი ორგანიზაციების სია:

- „ა(ა)იპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება

7. პროგრამის მოცულობა კრედიტებში:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 116 კრედიტი

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 146 კრედიტი

18. პროგრამის ხანგძლივობა:

მოდულური მიდგომით:

- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 77 სასწავლო კვირა
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 99 სასწავლო კვირა